სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 27 ივლისის „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიისა და საკონკურსო სააპელაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ №79/2015 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი №4

ქ. თბილისი 13 ოქტომბერი, 2015 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: ასოც. პროფესორი ლ. ღუდუშაური (კომისიის თავმჯდომარე), ასოც. პროფესორი ა. არსენაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასოც. პროფესორი გ. ერქომაიშვილი (კომისიის მდივანი), ასოც. პროფესორი ი. ბალარჯიშვილი, ასოც. პროფესორი ლ. საბაური. გამოცხადების ფურცელი თან ერთვის ოქმს.

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე თსუ-ის რექტორის 2015 წლის 6 ივლისის №104/01-01 ბრძანებით გამოცხადებული ასოცირებული პროფესორების ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ.

ასოც. პროფესორი ლ. ღუდუშაური

მოისმინეს: 1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე თსუ-ის რექტორის 2015 წლის 6 ივლისის №104/01-01 ბრძანებით გამოცხადებული ასოცირებული პროფესორების ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარების შესახებ კომისიის თავმჯდომარის, ასოც. პროფესორის ლ. ღუდუშაურის ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ შედეგების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე აუცილებელია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე თსუ-ის რექტორის 2015 წლის 6 ივლისის №104/01-01 ბრძანებით გამოცხადებული ასოცირებული პროფესორების ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარება შემდეგი საკონკურსო აკადემიური თანამდებობის მიხედვით: თეორიული ეკონომიკის კათედრა – ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული, ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრა – ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფესორმა ლ. ღუდუშაურმა, ასოც. პროფესორმა ა. არსენაშვილმა, ასოც. პროფესორმა გ. ერქომაიშვილმა, ასოც. პროფესორმა ი. ბალარჯიშვილმა, ასოც. პროფესორმა ლ. საბაურმა.

კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფის მიზნით, კომისიის მიერ მომზადდა ბიულეტენები (თსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით), რომელშიც აისახა შესაბამისი მიმართულების მიხედვით საკონკურსო აკადემიური პოზიციის დასაკავებლად არსებული პრეტენდენტების სახელები და გვარები. ბიულეტენების სისწორე დადასტურდა კომისიის ყველა წევრის მიერ. დამატებითი ბიულეტენი არ დამზადებულა. საარჩევნო ყუთი დაილუქა ყველა კომისიის წევრის მიერ და ლუქი დამოწმდა კომისიის წევრთა ხელმოწერებით. კენჭისყრის დასრულების შემდგომ საარჩევნო ყუთი გახსნეს კომისიის წევრებმა და დათვალეს პრეტენდენტთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

საკონკურსო კომისიის მიერ ,,სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" დებულების მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდგომ კონკურსის ორივე ეტაპის შედეგების (ასახულია საკონკურსო კომისიის ოქმებში) ურთიერთშეჯერებისა და შეჯამების საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გამარჯვებულების გამოსავლენად ფარული კენჭისყრის ჩატარების შესახებ.

ფარული კენჭისყრის შედეგები:

თეორიული ეკონომიკის კათედრა – ასოცირებული პროფესორი 1 (ერთი) საშტატო ერთეული.

1. ბედიანაშვილი გივი – მიღებული ხმების რაოდენობა 0;
2. ბერიძე ლამარა – მიღებული ხმების რაოდენობა 0;
3. გელიტაშვილი ნონა – მიღებული ხმების რაოდენობა 0;
4. ლეიაშვილი პაატა – მიღებული ხმების რაოდენობა 2;
5. სირბილაძე რუსუდანი – მიღებული ხმების რაოდენობა 0;

საარჩევნო ყუთიდან ამოღებული 3 (სამი) ბიულეტენი (თეორიული ეკონომიკის კათედრა) არის ცარიელი, რომლებიც ხმების დათვლისას არ იქნა გათვალისწინებული.

ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრა – ასოცირებული პროფესორი 1 (ერთი) საშტატო ერთეული.

1. გრიგალაშვილი ლევანი – მიღებული ხმების რაოდენობა 2;
2. ვარდიაშვილი მარიამი – მიღებული ხმების რაოდენობა 2;

საარჩევნო ყუთიდან ამოღებული 1 (ერთი) ბიულეტენი (**ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრა**) არის ცარიელი, რომელიც ხმების დათვლისას არ იქნა გათვალისწინებული.

დაადგინეს: 1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე თსუ-ის რექტორის 2015 წლის 6 ივლისის №104/01-01 ბრძანებით გამოცხადებული ასოცირებული პროფესორების ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში, არცერთი მიმართულებით გამარჯვებული არ გამოვლინდა, ვინაიდან თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" დანართი №1-ის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვერცერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა.

საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის შეფასება განხორციელდა თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების ,,სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" დანართი №1-ის მე-6 და მე-7 მუხლების საფუძველზე ორ ეტაპად, რომლის საფუძველზეც შეფასდა კონკურსანტების სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა შემდეგი კრიტერიუმებით:

- რამდენად უწყობს ხელს კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა კათედრის კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას;
- რამდენად უწყობს ხელს კონკურსანტის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა თსუ-ს შემდგომ წინსვლასა და განვითარებას.

ამასთანავე, გადაწყვეტილების მიღებისას საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებულ იქნა: პრედენდენტთა პროფესიული უნარ-ჩვევები, ლოგიკური აზროვნების უნარი, გადმოცემის უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა და უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო სფეროსთან დაკავშირებული საკითხებისადმი პრეტენდენტთა დამოკიდებულება.

თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" დანართი №1-ის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებ-გვერდზე და განთავსდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.

თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" დანართი №1-ის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება ეძლევა გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმის შედეგები საკონკურსო-სააპელაციო კომისიაში. კანდიდატმა საჩივარი უნდა ჩააბაროს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქუჩა №2 (კორპუსი X), ოთახი № 310.

კომისიის თავმჯდომარე		ლ. ღუდუშაური
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე		ა. არსენაშვილი
კომისიის მდივანი		გ. ერქომაიშვილი
კომისიის წევრები:		ი. ბალარჯიშვილი
		ლ. საბაური